**განცხადება საქართველოს უსაფრთხო წარმოშობის ქვეყნად დაგეგმილი კლასიფიკაციის შესახებ**

ჩვენ დიდი მღელვარებით ვადევნებთ თვალყურს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს, რომლებიც ლგბტ* თემს უკავშირდება. პრაიდზე მომხდარი თავდასხმა თბილისში 08/07/2023 სამწუხარო მოვლენაა.[1] მით უფრო გაკვირვებული ვართ იმით, რომ ფედერალური მთავრობა გეგმავს საქართველოს უსაფრთხო წარმოშობის ქვეყნად კლასიფიკაციას.

ამა წლის 7 აგვისტოს 15 წელი შესრულდა რუსეთის თავდასხმიდან საქართველოზე 2008 წელს.[2] საქართველოს ტერიტორიები, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ისევ რჩებიან რუსეთის ოკუპაციის ქვეშ. უამრავ დევნილს რომელიც იქ იმყოფება,საშინელ ჰუმანიტარულ პირობებში უწევს ცხოვრება. რუსეთის მხრიდან არაერთხელ იქნა გაჟღერებული მუქარა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ანექსიის შესახებ.[3] ომისა და ოკუპაციის შედეგები გერმანიამდე აღწევს,რასაც ადასტურებს ქართველი ზელიმხან ხანგოშვილის მკვლელობა რუსული სპეცსამსახურების დაკვეთით 23 აგვისტოს 2019 წელს, ბერლინში Kleiner Tiergarten- ში.[4] ეს ერთი მიზეზიც კი საკმარისია იმისთვის რომ საქართველო არ იყოს უსაფრთხო წარმოშობის ქვეყნად კლასიფიცირებული.

მმართველი პარტია "ქართული ოცნება " უფრო და უფრო მიიწევს რუსეთისკენ. ამის სიმბოლო გახდა ეგრედ წოდებული "უცხოელი აგენტების რეგისტრაციის" შესახებ კანონის მიღების დაგეგმვა, რომელიც დიდი საზოგადოებრივი პროტესტის წყალობით ვერ იქნა დამტკიცებული.[5]
აგრეთვე მიმდინარეობს მცდელობები,რუსეთის მაგალითზე იქნეს მიღებული კანონი ლგბტ* პროპაგანდის აკრძალვაზე.[6]
ამ შემთხვევაში საუბარია ეგრეთ წოდებული სტაბილოკრატიის ჩამოყალიბებაზე, როდესაც დასავლეთი უპირატესობას ანიჭებს პოლიტიკურ სტაბილურობას ავტორიტარული რეჟიმის მეშვეობით, დემოკრატიული და ლიბერალური რეფორმების წინ,რათა თავიდან აირიდოს შესაძლო პოლიტიკური ქაოსი.[7]

---

[1] https://edition.cnn.com/2023/07/08/europe/tbilisi-georgia-anti-lgbtq-pride-festival-intl/index.html
[2] https://www.dekoder.org/de/gnose/georgienkrieg-suedossetien-abchasien-2008
[3] https://www.aljazeera.com/news/2023/8/23/russias-medvedev-warns-georgian-breakaway-regions-could-be-annexed
[4] https://www.berlin.de/gerichte/presse/pressemitteilungen-der-ordentlichen-gerichtsbarkeit/2021/pressemitteilung.1161570.php; https://openjur.de/u/2389013.html; Silvia Stöber, Mord im Tiergarten, Freiburg 2023
[5] https://www.thenation.com/article/archive/georgia-tbilisi-pride-fest-lgbtq-european-union/
[6] https://jam-news.net/lgbtq-propaganda-ban-rejected/
[7] https://newlinesmag.com/argument/in-the-balkans-stability-may-not-be-the-answer/

რამდენად არასწორია ეს სტრატეგია, შეგვიძლია ვიხილოთ ათწლეულების განმავლობაში რუსეთის რეჟიმის მიმართ რბილ დამოკიდებულებაში,რამაც საბოლოოდ მიგვიყვანა ფართომასშტაბიან და აგრესიულ ომამდე უკრაინის წინააღმდეგ.

ევროკავშირზე პრინციპული ორიენტაციის მიუხედავად, ტრანსფობია და ჰომოფობია სერიოზული სოციალური და პოლიტიკური პრობლემაა საქართველოში. გამოკითხვების მიხედვით,ქართული საზოგადოების 75% წინააღმდეგია ერთ სქესიანთა ქორწინების შემოღების.[8] ლგბტ* პირებს აქვთ პრობლემა სამედიცინო მომსახურებაზე.გარდა ამისა არაერთხელ მოხდა თავდასხმა ძალის გამოყენებით,განსაკუთრებით

პრაიდის დროს. 2019 - 2021 და ასევე მიმდინარე წელს საჭირო გახდა ღონისძიებების შეჩერება ან გაუქმება აგრესიულად განწყობილი მემარჯვენე ორგანიზაციების პროტესტების გამო. 2021 წელს, ასეთი თავდასხმის გამო დაიღუპა ვიდეო ოპერატორი. ქვეყნის შიგნით გადარჩენა ლგბტ* პირისთვის შეუძლებელია. ასევე საქართველოს მთავრობას არ შეუძლია და არ უნდა
ლგბტ* პირებისთვის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ფედერალური კონსტიტუციური სასამართლოს პრეცედენტული კანონის თანახმად, სახელმწიფო ვერ იქნება აღიარებული უსაფრთხო წარმოშობის, თუ მასში მიზანმიმართულად ხდება ცალკეული ჯგუფების დევნა. ამ შემთხვევაში საუბარია კომპლექსურ სისტემურ პრობლემებზე ლგბტ* თემის მიმართ.[9,10]

---

[8] https://www.goethe.de/ins/ro/de/kul/sup/unp/24107951.html

[9] vgl hierzu ausführlich die Stellungnahmen des LSVD, https://www.lsvd.de/media/doc/10085/2023-08-25_stellungnahme_sichere_herkunftsstaaten.pdf; und von Pro Asyl, https://www.proasyl.de/wp-content/uploads/PRO-ASYL_Stellungnahme-sichere-HKL_Georgien_Moldau_25.08.2023.pdf

[10] Entsprechende systemische Mängel bestehen angesichts russländischer Besatzung in Transnistrien und der Diskriminierung von Rom*nja auch bezüglich Moldau, https://fluechtlingsrat-berlin.de/presseerklaerung/12-06-2023-humanitaere-und-historische-verantwortung-uebernehmen-keine-abschiebungen-von-roma-keine-abschiebungen-nach-moldau-moldau-ist-kein-sicheres-herkunftsland/. Außerdem erscheint angesichts der dortigen politischen Lage die Einstufung verschiedener Balkanstaaten als sichere Herkunfsstaaten, insbesondere des Kosovos und Bosnien-Herzegowinas, äußerst zweifelhaft, https://culturalrelations.ifa.de/en/blogging/article/addressing-the-eus-credibility-gap-in-the-western-balkans/.